

საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო პროცესში არახელმომწერი მესამე მხარის
იძულებით ჩართვის მექანიზმები



თენგიზი მღებრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.”¹

თენგიზი მღებრიშვილი

¹ ს. ჯანაშია და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), 47. <https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zyg-p1645nECwMIANSR5Wh2kqeSo> (04.07.2021).

აბსტრაქტი

საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, დროთა განმავლობაში გაიზარდა საარბიტრაჟო პროცესის მხარეთა რაოდენობაც. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საარბიტრაჟო პროცესში მესამე პირის იძულებით ჩართვის მექანიზმები, რომლის საფუძველზეც ტრიბუნალს ფართო დისკრეცია გააჩნია მხარეთა „თანხმობასთან“ დაკავშირებით.

წინამდებარე ნარატივში გამოყენებულია იმპერატიული; ისტორიული და შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდები. მრავალმხარიანი საარბიტრაჟო პროცესის ისტორიული მიმოხილვის ფონზე, შესაძლებელი გახდა თავდაპირველი პრობლემების იდენტიფიცირება და საარბიტრაჟო წესების განვითარების ანალიზი. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო წესები და მათი მიმართება მრავალმხარიან საარბიტრაჟო პროცესთან.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ თეორიაში არსებული მექანიზმების გამოყენების საფუძველზე ტრიბუნალი უფლებამოსილია უგულებელყოს არახელმომწერი მესამე მხარის თანხმობა, გაავრცელოს მასზე საარბიტრაჟო შეთანხმება და აიძულოს პროცესში ჩართვა. აღნიშნული მექანიზმები, პირველ რიგში, პროცესის ეფექტურ და სამართლიან გადაწყვეტას ემსახურება. გარდა აღნიშნულისა, დგინდება, რომ თანხმობა საარბიტრაჟო პროცესში შესაძლოა ორი სახით შეგვხვდეს, ირიბი და პირდაპირი სახით. მხარეები ხშირად ცხადად არ გამოხატავენ თანხმობას და მათი ქმედებების საფუძველზე ტრიბუნალი ირიბ თანხმობას ადგენს, შესაბამისად, მხოლოდ მესამე მხარის იმპლიციტური (ირიბი) თანხმობის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელია აღნიშნული მექანიზმების გამოყენება.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: კომპანიების ჯგუფის დოქტრინა; მრავალმხარიანი
საარბიტრაჟო პროცესი; იძულების მექანიზმები არბიტრაჟში.

Abstract

Due to the increased demand for international commercial arbitration, the number of parties to the arbitration proceedings has grown in number. This paper discusses the mechanisms for the joinder of third parties in the arbitration proceedings, on the basis of which the tribunal has broad discretion regarding the consent of the parties.

In the present narrative, the following research methods are used: imperative research method; Historical and comparative legal research methods. In the light of the historical overview of the multilateral arbitration process, it has become possible to identify the initial problems and analyze the development of arbitration rules. The paper analyzes the rules of international arbitration and their relation to the multilateral arbitration process.

The study concludes that on behalf of the coercive mechanisms, tribunal has the power to disregard the consent of a non-signatory third party, to extend an arbitration agreement to third parties, and compel it to joinder. These mechanisms primarily serve as an effective and fair solution to the process. In addition, it is established that consent in the arbitration process can be met in two ways, expressly and impliedly. The parties often do not express their consent explicitly and the tribunal imposes implied consent on the basis of their actions, therefore only in the presence of implicit (indirect) consent of a third party can these mechanisms be used.

The basic exploratory words: a group of companies doctrine, multiparty arbitration, joinder of third parties.